განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ოქროს აკვანი

შეფასების თარიღ(ებ)ი 18,19 ოქტომბერი 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი 14 ოქტომბერი 2022წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს „ოქროს აკვანი“ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | კერძო სამართლის იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 206178027 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქ. თბილისი** |
| იურიდიული მისამართი | ვარკეთილი3, Iმ/რ (ყოფილი 179-ე ბ/ბაღის შენობა) |
| ფაქტობრივი მისამართი | ვარკეთილი3, Iმ/რ (ყოფილი 179-ე ბ/ბაღის შენობა) |
| საფოსტო ინდექსი | 0190 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolaoqrosakvani.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | oqrosakvani.yahoo.com |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 2-27-29-52 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მაია მიქაძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 571-90-63-02<br>595-21-37-55<br>595-85-66-77 |
| ელ-ფოსტა | oqrosakvani@yahoo.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 22 სექტემბრის ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ოქროს აკვანში ვიზიტის შესახებ MES 8 22 0001136297 და 2022 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება MES 3 22 0001307319 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2022 წლის 18 და 19 ოქტომბერი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ნანა მონიავა |
| წევრი (სახელი, გვარი) | მარინე ჯანაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. მონიავა ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო | მუხლი 7/ პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | ............... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:*<br>*დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები* | ლაბორატორიაში არ არის გამწოვი. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მოეწყოს გამწოვი კარადა/დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების წესების დაცვას. |
| | *2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს წარმომადგენლისათვის.* | მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო ორივე დოკუმენტის გაგება და მათ შორის შესაბამისობის დადგენა, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა დაკონკრეტებული იყოს სტრატეგიული მიზანი, ამოცანები, ქვეამოცანები. რათა უფრო მეტი კონკრეტიკა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირები იყოს ნებისმიერი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | დაინტერესებული პირისათვის, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისათვის. |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | ასწავლოს მოსწავლეს როგორ ისწავლოს, მოსწავლის, მასწავლებლის და მშობლის თანამშრომლობით და ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებით აღზარდოს ჯანსაღი, პასუხისმგებლიანი, შემოქმედებითად და კრიტიკულად მოაზროვნე, ტოლერანტი მომავალი თაობა. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>-----360--------- | ექსპერტი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება<br>☐ | |

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| |
|---|
| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ოქროს აკვანის 2022-2023 სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: წარმოდგენილია სკოლის სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები: ზოგადი განათლების საფეხურები, მათი მისია და მიზნები; განათლების ენები და ენობრივი განათლება; სასკოლო სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები; მეთოდიკური ორიენტირები; სასწავლო წლის კალენდარი სკოლაში; მოსწავლეთა რაოდენობა კლასში; სკოლის საერთო კულტურა; დამრიგებლის მოვალეობები; საგნობრივი კათედრები; სასკოლო სასწავლო გეგმა; საგანმანათლებლო რესურსები; მოსწავლის შეფასება; გამოცდის ტიპები; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის აღიარება; გაცდენები; შინ სწავლება; ინკლუზიური განათლება; სავალდებულო და არჩევითი საგნები; საათობრივი ბადე.<br>სსგ მიხედვიტ სასწავლო წელი იწყება 2022 წლის 15 სექტემბერს და სრულდება 2023 წლის 15 ივლისს, პირველკლასელთათვის 29 მაისს, მეთორმეტე კლასელთათვის 21 მაისს.<br>პირველკლასელტათვის გაკვეთილები 40 წუთიანია (10 და 15 წუთიანი), II და XII კლასებისათვის 45წუთიანი (5, 10 და 15 წუთიანი).<br>მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 23 მოსწავლით.<br>სსგ მიხედვით სკოლას დაგეგმილი აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები IX და XI კლასებში, წარმოდგენილია ჩატარების განრიგი.<br>საათობრივ ბადეში განსხვავებული საათებია:<br>პირველი უცხოური ენა: I კლასში 4 სთ, II - XII კლასებში 5სთ.<br>მეორე უცხოური ენა იწყება IIIკლასიდან და IX კლასის ჩათვლით 2 სთ, X-XII კლასებში 1სთ.<br>საათობრივ ბადეს თან ახლავს შემდეგი განმარტება:<br>Vდა VIკლასებში 1 საათი მოკლებული აქვს ისტ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებას, მუსიკასა და სპორტს და დამატებული აქვს ინგლისურს და აღნიშნული საათი გამოყენებულია ფრანგულ-გერმანულზე, რომელიც |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეთავაზებულია ფაკულტატირის სახით.<br>VII კლასში 1 საათი მოკლებული აქვს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სპორტსა და მუსიკას, რომელიც დამატებულია ინგლისურ ენაზე.<br>VIII და IX კლასებს 1 საათი მოკლებული აქვს სპორტს, მუსიკასა და საახვითი გამოყენებით ხელოვნებას და დამატებული აქვს ინგლისურს.<br>XI და XII კლასებში 1 საათი აქვს მოკლებული რუსულსა და სპორტს და დამატებული აქვს ინგლისურ ენას.<br>სკოლის მიერ არ იყო შეთანხმებული საათობრივი ბადე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. თუმცა ექსპერტებთან გასაუბრების შედეგად გადაწყვეტილება მიიღო სკოლამ საათობრივი ბადის შეთანხმების შესახებ და გააგზავნა წერილი (N4/80, 19/10/2022წ.) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ოქროს აკვანის 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• შპს ოქროს აკვანის დირექციის წერილი საათობრივი ბადის შეთანხმების შესახებ (N4/80, 19/10/2022). |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია მიზნები საფეხურების მიხედვით.<br>სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს კათედრების რაოდენობას. სკოლაში შვიდი საგნობრივი კათედრაა: ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხო ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიკის კათედრა. კათედრის ფუნქციები, მოვალეობები და საქმიანობის წესი განისაზღვრება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კათედრის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.<br><br>საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებს აქვთ პორტფოლიოები, რომელიც მოიცავ კათედრაში გაერთიანებული მასწავლებლების საგნობრივ პროგრამებს, შემაჯამებლების რაოდენობებს, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე რესურსების ჩამონათვალს, შემაჯმებელი სამუშაოების ნიმუშებს, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზებს. შემაჯამებელი დავალებები არის მრავალფეროვანი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგანში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები, ყველა მათგანი შემაჯამებელი დავალების კონტექსტში არ მოიაზრება და არ ფასდება განმსაზღვრელი ქულით.<br><br>სკოლაში თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებელი ატარებს სადამრიგებლო-სააღმზრდელი საათს, ეხმარება მოსწავლეს აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში. დამრიგებლის საქმიანობის წესი განისაზღვრება დამრიგებლის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.<br>ყველა კლასის დამრიგებელს შემუშავებული აქვს კლასის სადამრიგებლო პროგრამა, რომლის აქტივობებშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და საჭიროებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კათედრის დებულება<br>• დამრიგებლის მუშაობის წესი<br>• 2022-2023 სასწავლო წლის სსგ<br>• კათედრის ხელმძღვანელების პორტფოლიოები<br>• შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები<br>• მასწავლებლების პორტფოლიოები<br>• სადამრიგებლო პროგრამები<br>• გასაუბრება დირექციასთან, მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოების წევრებს გააზრებული აქვს მოსწავლეთა თანაბარუფლებიანობა, მათი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობა და აუცილებლობა სწავლა-სწავლების დროს.<br>შპს ოქროს აკვანის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების მიმართულება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023 სასწავლო წლის სსგ |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ოქროს აკვანის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების მიმართულებით გაწერილია შემდეგი საკითხები: მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები მუხლი; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა; აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა; შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე; მოსწავლის შეფასების კომპონენტები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები; ქულების გამოანგარიშების წესი; კლასისა და საფეხურის დაძლევა; გამოცდის ტიპები; აკადემიური მიღწევის აღიარება.<br>სკოლის ელექტრონულ ჟურნალში არის კლასების მიხედვით შესაბამისი შეფასებები განმავითარებელი და განმსაზღვრელი. საკლასო ოთახებში გამოკრულია შეფასების სქემები საგნებისა და კლასების მიხედვით, რომელსაც მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო წლის დაწყებისას. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია მშობლებისთვისაც.<br>მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრების სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022-2023 სასწავლო წლის სსგ<br>• ელექტრონული ჟურნალი EduPage<br>• გასაუბრება დირექციასთან<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან<br>• გასაუბრება მოსწავლეებთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს „დებულება მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ“.<br>მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება ხდება მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით), Zoom-ის ან სხვა პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში, ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით, ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გ

| | |
|---|---|
| | მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს, ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით, სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა).<br>სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება საკლასო კრებებზე, ტელეფონით, სოციალურ ქსელით კლასის დამრიგებლის მეშვეობით; თითოეულ კლასში მშობელთა კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს; მშობელთა კრებისათვის დამრიგებელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები.<br>მშობელსკოლის ადმინისტრაციას შესთავაზოს როგორც ინდივიდუალური შეხვედრების ასევე მშობელთა კრებების დროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება<br>• გასაუბრება მშობლებტან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ოქროს აკვანს შემუშავებული აქვს სკოლის სასკოლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები (დამტკიცებულია 2021 წლის 7 სექტემბერს ბრძანება N02/97), რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ზოგადი დებულებები; სკოლის ხარისხის უზრნველყოფის სისტემა; პროცედურები (დაგეგმვა, განხორციელება; შემოწმება-შეფასება, განვითარება); მონაცემების შეგროვების წყაროები; შემაჯამებელი ანგარიშის წარმოდგენა; თვითშეფასება; სასწავლო წლის SWOT ანალიზი.<br>სკოლამ ასევე წარმოადგინა შემდეგი კითხვარები: მასწავლებლის, მოსწავლეების, დირექციის, დამრიგებლის, საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელის, სასწავლო გეგმის შეფსების კითხვარი.<br>თითოეული კითხვარი ემსახურება სასწავლო წლის მიმდინარე პროცესების შეფასებას, რათა სკოლამ გაიაზროს, შეაფასოს და ასახოს შესაბამისი ცვლილებები მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები<br>• კითხვარები<br>• კითხვარების ანალიზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** 1166.86 კვ.მ. | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N916 ადასტურებს, რომ შპს „ოქროს აკვანს" 206178027 გადაეცა საკუთრებაში დასახლება ვარკეთილი 3, მ/რ I-ში შენობის პირველ სართულზე არსებული 595,75 კვ.მ., მეორე სართულზე არსებული 571,05 კვ.მ., სულ 1166,80კვ.მ. ფართი და მათზე ნაწილობრივ დამაგრებული მიწის ნაკვეთი, რაც დასტურდება 2022 წლის 1 აპრილის მომზადებული ამონაწერით საჯარო რეესტიდან |
| *ფაქტობრივი მისამართი* | თბილისი, ვარკეთილი3, Iმ/რ (ყოფილი 179-ე ბ/ბაღის შენობა) |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.19.39.029.033 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| კვ.მ. | 1166.80 |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, 12/12/2011<br>• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882020774818 მომზადებულია 01/04/2022 |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობაში არის 19 საკლასო ოთახი. თითოეულ საკლასო ოთახში არის ინდივიდუალური მერხები (სულ 384 მერხი) საფეხურების საჭიროების შესაბამისად, ასევე თითოეულ კლასში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კარადა/თარო, დაფა. სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შიდა-აზომვითი ნახაზით;<br>• ანგარიშ-ფაქტურებით;<br>• მერხებისა და სკამების შეძენისა დოკუმენტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის პირველ სართულზე არის სპორტული დარბაზი 120კვ.მ. ფართის, ასევე სკოლის ეზოში არის საშუალება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარება. სკოლას გააჩნია სპორტული ინვენტარი ასაკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შიდა-აზომვითი ნახაზით;<br>• ანგარიშ-ფაქტურებით;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედებს ლაბორატორიის მუშაობის დებულება და სარგებლობის წესი.<br>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არის სველი წერტილი. თვალსაჩინოებები და აღჭურვულობა.<br>ლაბორატორიის სასწავლო რესურსი განთავსებულია კარადებში. ლაბორატორიას აქვს კომპიუტერი, პროექტორი და სმარტ ტელევიზორები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ინტერნეტრესურსის მოხმარებისას. მოცემული ინვენტარი და მასალა თვალსაჩინოა და ხელმისაწვდომი ლაბორატორიაში მომუშავე მასწავლებლისთვის. კაბინეტის ფანჯრებზე მოწყობილია ნაწილობრივი დაბნელების ფარდები, რომელიც გამოიყენება პროექტორის ხმარებისას.<br>საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ჰყავს ლაბორატორიის გამგე, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და პასუხისმგებელია მის უსაფრთხოებაზე, ქონების დაცვასა და კონტროლზე.<br>ლაბორატორიაში არ არის გამწოვი. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მოეწყოს გამწოვი კარადა/დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრტხოების წესების დაცვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ლაბორატორიის მუშაობის დებულება და სარგებლობის წესი,<br>• ლაბირატორიით სარგებლობის წესები,<br>• ლაბორატორიის გამგესთან საუბარი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ლაბორატორიის გამოყენების აღრიცხვის ჟურნალი<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ელექტროენერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით უწყვეტი უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალიზებულად.<br>სკოლას აღნიშნული მომსახურეობები მიეწოდება<br>1. ბუნებრივი აირი შპს „ვარკეთილაირი“ ;<br>2. ელექტროენერგია TELMICO;<br>3. წყალი GWP (თბილისის წყალი),<br>4. დასუფთავების სამსახური.<br>შენობა უზრუნველყოფილია 24 საათიანი წყლის მომარაგებით. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ცენტრალური გათბობის სისტემა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ბიბლიოთეკა წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. მისი საქმინობა რეგულირდება სკოლის წესდებითა და ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს მკითხველთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თანასწორუფლებიანობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ოპერატიულობა.<br>წესდების მიხედვით, ბიბლიოთეკარი აწარმოებს მოსწავლეთა, პედაგოგთა და სხვა კატეგორიის მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურებას, ბიბლიოთეკარი ეწევა კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო მუშაობას, დირექციას წარუდგენს ბიბლიოთეკის წლიური სამუშაო გეგმასა და ანგარიშს, აცნობს მკითხველს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს.<br>ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 3573 ერთეულს, მათ შორის 550 ცალი სახელმძღვანელოები.<br>განთავსებულია გრიფმინიჭებული სახემძღვანელოები.<br>თვალსაჩინოდ არის გამოკურული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის სამუშაო საათები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება.<br>• ბიბლიოთეკის დებულება,<br>• საინვენტარო წიგნი,<br>• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი,<br>• ბიბლიოთეკის წლიური სამუშაო გეგმა,<br>• ბიბლიოთეკის წლიური ანგარიში. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელია შშმ პირთათვის. ასევე არის ასაკეცი პანდუსები (რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შენობის პირველ და მეორე სართულს), რომლის საშუალებითაც ეტლით მოსარგებლე მოსწავლეს შეუძლია აღმოჩნდეს ბიბლიოთეკაში. ადაპტირებული სველი წერტილი (ადაპტირებულ საპირფარეშო მოწყობილია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სატნდარტის შესაბამისად), სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სასადილო სივრცე, ექმის კაბინეტი არის პირველ სართულზე შესაბამისად სსსმ და შშმ მოსწავლეებისათვის სკოლის ნებისმიერი სივრცე ხელმისაწვდომია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგებები. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია Wi-fi სისტემა, რომელიც შენობის ნებისმიერ წერტილში უზრუნველყოფს ინტერნეტის ხელმისაწვდომობას. ისტ-ის ლაბორატორიში, რომელშიც მოსწავლეებს უტარდებათ ისტ-ის გაკვეთილები აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერით. სკოლას ასევე სხვადასხვა კაბინეტსა და ლაბორატორიაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები. სკოლას აქვს ლეპტოპები, რომელიც სამასწავლებლოშია და მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაკვეთილებზე გაიტანონ საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში არის შემდეგი ტექნიკა: კომპიუტერი- 22 ცალი, მულტიფუნქციური პრინტერი-3 ცალი, პრინტერი -1 ცალი, პროექტორი- 1 ცალი, ლეპტოპი -1 ცალი, სმარტ ტელევიზორი -2 ცალი, პლაზმური ტელევიზორი - 1ცალი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას აქვს ვებ-გვერდი https://skolaoqrosakvani.ge/ სოციალური გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100057520148218 და ელექტრონული ფოსტა oqrosakvani@yahoo.com , რომლებიც ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ხელშეკრულებება;<br>• ანგარიშფაქტურა;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• ვებ ვერდის დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია სკოლის ტექნიკური უსაფრთხოების თანამშრომელი.<br>რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესით, საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი<br>• საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.<br>თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საევაკუაციო გეგმა<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ექიმი ხელმძღვანელობს ერთობლივი ბრძანებით. ახორციელებს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას. სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვებს აღრიცხავს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეაქვსს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში, ახორციელებს სამედიცინო შემოწმების ღონისძიებებს: ბავშვთა ასაკში გავრცელებული იმ დაავადებების დროული აღმოჩენისა და გართულების პრევენციისათვის, ახორციელებს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდებს ინფორმაციას დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ;<br>საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია. სამედიცინო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია არის მოკლე. წესია რომ 1. სკოლას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით ჰყავს შესაბამისი თანამშრომელი, სკოლის ექიმი, რომელიც: ა)ზრუნავს სკოლაში ჰიგიენური მოთხოვნების დაცვაზე; ბ) ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს მოსწავლეებს და თანამშრომლებს; ხოლო მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სასწრაფო დახმარების გამოძახება.<br>ვიზიტის პირველ დღეს ინფრასტრუქტურის დათვალიერების დროს დაფიქსირდა რომ ექიმის კაბინეტი შენობის მეორე სართულზე იყო და ოთახში ნაცვლად წყლის ონკანისა იყო წყლის დისპანსერი, რომელიც მხოლოდ წყლის დასალევად გამოიყენებოდა. ექსპერტტა რჩევის საფუძველზე, 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო ოთახი გადატანილი იქნა შენობის პირველ სართულზე. ოთახის მახასიათებლები, აღჭურვილობა, წყლის ონკანი, ფანჯარა სრულად აკმაყოფილებს აღნიშნული წესის მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის ექიმის დებულება და სამედიცინო მომსახურების წესი, ბრძანება N2/48, 22.06.2022<br>• საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია,<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, სკოლის ტექნიკური უზრუნველყოფის და უსაფრთხოების მენეჯერი უზრუნველყოფს.<br>სკოლას წესი დამტკიცებული ჰქონდა 2019 წლის 12 სექტემბერს. თუმცა განატლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2020 წლის 4 თებერვალ შევიდა სკოლის წერილი N123970, რომლის საფუძველზეც სკოლას დაუბრუნდა პასუხი 2020 წლის 22 აპრილს წერილი N MES 8 20 00344844, რომელშიც პუნქტობრივად არის გაწერილი წესში შესასატანი ცვლილებები. ხარისხის განვითარების მენეჯერთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ აღნიშნული წერილის საფუძველზე სკოლამ შეიტანა ცვლილებები, თუმცა აღარ ჩათვალა საჭიროდ შესათანხმებლად სამინისტროსთან გაეგზავნა. ვიზიტის პროცესში სკოლამ გადააგზავნა წერილი (N4/78, 19/10/2022წ.) და კორექტირებული წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ბრძანება N02/145, 12.09.2019 წ.<br>• განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის წერილი MES 8 20 00344844, 22/04/2020წ.<br>• წერილი N4/78, 19/10/2022წ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან წესრიგის დაცვის მექანიზმების შესათანხმებელი წესის შესახებ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოთვალთვალის სისტემით. გარე პერიმეტრს აკონტროლებს უსაფრთხოების 2 კამერა, ხოლო შიდა პერიმეტრს 12 კამერა, სულ 14 კამერა. კამერები აკონტროლებს სკოლის ყველა დერეფანს, შესასვლელსა და კიბის უჯრედს. ვიზიტის დაწყებისას სკოლას ჰქონდა 9 ვიდეოკამერა, ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად შიდა კამერების რაოდენობა გაიზარდა 5ერთეულით, რათა მომხდარიყო სრული ხილვადობის უზრუნველყოფა. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი, 07.09.2021<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება, სკოლის წესდება და შინაგანაწესი. აგრეთვე, შემუშავებულია სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე ხდება გადაწყვეტილებების მიღება, საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა. კერძოდ, საქმისწარმოების წესი, მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესი, სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისა და შერჩევის წესი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, სკოლის სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი.<br>სკოლა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესი,<br>• მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესი, ბრძანება N2/22, 22.06.2022<br>• სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, ბრძანება N02/97, 07/09/2021<br>• მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისა და შერჩევის წესი, N02/97, 07/09/2021<br>• პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულება, N02/97, 07/09/2021,<br>• საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გ𐀀ᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ოქროს აკვანს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა(2019/2020-20252026 ს.წ.) და განვითარების ერთწლიანი გეგმა (2022-2023წწ).<br>სტარტეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2019 წლის 7 სექტემბრის N2-145 ბრძანებით.<br>სკოლას დაგეგმილი აქვს 2021-2027 წლებში იმუშაოს შემდეგი სამი სტრატეგიული მიმართულებით:<br>1. სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;<br>2. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და უსაფრხოების დაცვა;<br>3. სწავლა-სწავლების პროცესი;<br>თითოეული სტრატეგიული მიმართულებით გაწერილია შესაბამისი ღონისძიებები, შესრულების პერიოდი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.<br>2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 22 ივნისს N2-47 ბრძანებით). გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკურ თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს.<br>მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო ორივე დოკუმენტის გაგება და მათ შორის შესაბამისობის დადგენა, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა დაკონკრეტებული იყოს სტრატეგიული მიზანი, ამოცანები, ქვეამოცანები. რათა უფრო მეტი კონკრეტიკა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირები იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა (2019 წლის 07 სექტემბრის N2-145 ბრძანება) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს   ხ ა რ ი ს ხ ი ს   გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს   ე რ ო ვ ნ უ ლ ი   ც ე ნ ტ რ ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | • სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022 წლის 22 ივნისის N2-47 ბრძანება) |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საქმისწარმოების წესი მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: ა) შემოსული დოკუმენტაცია ბ)გასული დოკუმენტაცია გ) შიდა დოკუმენტაცია.<br>ყველა სახის დოკუმენტაციის აღრიცხვა ხდება სარეგისტრაციო სპეციალურ ჟურნალებში: საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეთათვის, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მასწავლებელთათვის და სხვა თანამშრომლებისათვის.<br>ჟურნალები ბეჭედდასმული, დანომრილი და ზონარგაყრილია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესი,<br>• გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გᲐნᲐთლᲔბᲘს ხᲐᲠᲘსხᲘს გᲐნᲕᲘთᲐᲠᲔბᲘს ᲔᲠᲝᲕნᲣლᲘ ცᲔნტᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს „ოქროს აკვანს“ ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. კერძოდ, 33 მასწავლებელი და 15 ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი.<br>1. სკოლის დირექტორი 1;<br>2. დირექტორის მოადგილე-საქმისმწარმოებელი 1;<br>3. სასწავლო პროცესის კოორდინატორი 1;<br>4. დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში 1;<br>5. დირ.მოადგ.საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი 1;<br>6. ტექნიკური და უსაფრთხოების მენეჯერი 1;<br>7. ტექნიკოს-ხელოსანი 1;<br>8. ბიბლიოთეკარი 1;<br>9. ბუღალტერი 1;<br>10. ექიმი 1;<br>11. აღმზრდელი 1<br>12. გახანგრძლივებ. მასწ. 1;<br>13. აღმზრდელი 1;<br>14. დამლაგებელი 1;<br>15. ხარისხის მართვისა და ინოვაციის მენეჯერი 1. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღსანიშნავია, რომ ყველა თანამშრომლის საქმიანობა და ფუნქციები რეგულირდება შესაბამისი დებულებებით და ყველა მათგანი eSchool-ის ბაზაშია ასახული. სკოლაში არსებული ყველა დოკუმენტი ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ერთმანეთთან თანხვედრაშია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის საშტატო განრიგი;<br>• სკოლის მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;<br>• თანამშრომელთა eSchool-ის ბაზა;<br>• სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>• სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებები;<br>• დებულებები;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება;<br>• დოკუმენტაციის ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 33 |
| მოწვეული/მაძიებელი | 3 |
| უსტატუსო მასწავლებლი ( პირობითი ვადით) | 2 |
| უფროსი მასწავლებლი | 24 |
| წამყვანი მასწავლებლი | 4 |
| მენტორის სტატუსი | - |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ოქროს აკვანი“ -სკოლის ყველა მასწავლებელი შერჩეულია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 4 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებელი არის წამყვანის სტატუსით, 24 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 3 მასწავლებელი არის მოწვეული (მათ შორის ჭადრაკის და ცეკვის მასწავლებელი), 2 მასწავლებელი არის უსტატუსო, რომლებიც შეირჩნენ 2022 წლის სექტემბრის თვეში ჩატარებული გასაუბრების შედეგად. რადგან აღნიშნულ ვაკანსიებზე ვერ მოხერხდა სტატუსიანი პედაგოგების შერჩევა, ზემოთ აღნიშნულ 2 მასწავლებელთან (სპორტი და ფრანგული ენა) ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, რომ მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი, პედსაბჭოსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადების და კომისიის მუშაობის წესი, რომლის მიხედვითაც წარიმართა აღნიშნულ მასწავლებელთა შერჩევის პროცედურები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• eSchool-ის ბაზაში ასახული მონაცემები;<br>• მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის მუშაობის წესი;<br>• მასწავლებელთა ხელშეკრულებები;<br>• მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის კომისიის ოქმები (N14.09.2022 და N2 30.09.2022) |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი შრომითი ურთიერთობის წესები და ასახულია, რომ სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესთან“<br>სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისა და შერჩევის წესი, პედსაბჭოს სხდომაზე შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით N02/97, 07/09/2021 დამტკიცებული.<br>მასწავლებელთა შერჩევის პროცესი ასახულია შესაბამის ოქმებში.<br>სკოლის შინაგანაწესის მე-4 თავში წარმოდგენილია სკოლაში დასაქმებულთა წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. შინაგანაწესის მუხლები კანონმდებლობის შესაბამისია.<br>სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ყველასთვის ნაცნობია შინაგანაწესში ასახული ინფორმაცია და ახალ თანამშრომლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის მექანიზმები, რაც ეხმარება ახალბედა დასაქმებულებს ეფექტურ საქმიანობაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისა და შერჩევის წესი, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული N02/97, 07/09/2021;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• თანამშრომელთა შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმები;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ოქროს აკვანი“ სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია 1 წლიანი ვადით. ხელშეკრულებებში მითითებულია მასწავლებელთა სტატუსები და ამ სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები. ასევე, სხვა პესონალთან - შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ყველა ხელშეკრულება დანომრილია და გატარებულია რეგისტრაციის ჟურნალში საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. ხელშეკრულებებთან ერთად, სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეები წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტი. (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, პირადობის დამადასტურებელი და ნასამართლეობის ცნობები და სხვა.) თანამშრომლებთან ინტერვის დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ ხელშეკრულების პირობებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>• სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები<br>• ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის წესდების მიხედვით, (მე-19 მუხლი) სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც შექმნილია სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მასში შესულია 5 წევრი: დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი და 3 მასწავლებელი.<br>სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების გაუმჯობესების და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულება, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს N1 სხდომაზე (8.09.2022) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/120 8.09.2022.<br>ასევე, სკოლას აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება პედ საბჭოზე განხილული და დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით # 02/97 07.09.2021.<br>სკოლის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მექანიზმები ასახულია სკოლის განვითარების 1 წლიან სამოქმედო გეგმასა და სკოლის განვითარების ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში.<br>სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესების და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულება;<br>• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• სკოლის განვითარების 1 წლიანი სამოქმედო გეგმა და სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა.<br>• ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის წესდების მიხედვით, სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა. ამავე წესდების მუხლი 4 ეხება სკოლის საერთო კულტურას, სადაც გაწერილია, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის გარდა, პროექტების, კონფერენციების, გასვლითი, შემეცნებითი, სპორტული, სახელოვნებო და სხვა ღონისძიებების განხორციელებით ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობის და თანასწორობის დამკვიდრებას. სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას, მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას და სხვა.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება, სადაც გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები, შემუშავებული და დამტკიცებული აქვთ ვიდეოთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი, სკოლის ექიმის დებულება, შემუშავებული და დამტკიცებული აქვთ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლას აქვს სასკოლო პროცესების მარეგულირებელი დებულებები: სასკოლო ექსკურსიების განხორციელების წესი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | თამბაქოს აკრძალვის წესი, საგანგებო სიტუაციების საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და სხვა.<br>სკოლაში უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესება პრიორიტეტულია სკოლის ერთლიან და ექვსწლიან გეგმებშიც.<br>სკოლის თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ისინი თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობენ სკოლაში, პასუხისმგებლობები გადანაწილებულია შესაბამისი დებულებების მიხედვით და სკოლაში არსებული გარემო ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების გამომჟღავნებას და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;<br>• სასწავლო პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები<br>• სკოლის განვითარების 1 წლიანი სამოქმედო გეგმა და სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა.<br>• ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
|---|---|
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

...........თბილისი........ .....14/11/2022.......

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა ...40...

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.